საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2397-02
28/09/2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის გ. გვალიას 2016 წლის 26 სექტემბრის N15705-35 წარდგინების, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 27 სექტემბრის №23 ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2016 წლის 29 სექტემბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე, კერძოდ:**

ა) ფილოსოფიის მიმართულებით პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე;

ბ) პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე;

გ) პოლიტიკისა და საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე;

დ) განათლების ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე;

2.კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი
კონკურენციის პრინციპებს;

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ანკეტა (შევსებული);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ოთხი ფოტოსურათი 3X4;

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) შესაბამისი სამეცნიერო ან დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ასლი; (უცხოეთში მიღებული აკადემიური ხარისხის შემთხვევაში, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს

განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);
ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევით უნარს;
ზ) ერთი სასწავლო კურსის სასწავლო გეგმა (სილაბუსი);
თ) პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ცნობა არანაკლებ ექვსწლიანი სამეცნიერო პედაგოგიური გამოცდილების შესახებ, ხოლო ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ცნობა არანაკლებ სამწლიანი სამეცნიერო პედაგოგიური გამოცდილების შესახებ.
4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს, კერძოდ:
ა) პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ან დოქტორის აკადემიური ხარისხი. ამასთან სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ან დოქტორის აკადემიური ხარისხი. ამასთან სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
5. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფასება მოხდება უფლებამოსილი ორგნოს აკადემიური საბჭოს მიერ. გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:
ა) კანდიდატის უნარი, მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე ასწავლოს კურსები შესაბამის სპეციალობაში;
ბ) პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება;
გ) სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო ათი წლის განმავლობაში);
დ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების გამოცდილება;
6. საკონკურსო განცხადებების მიღება იწარმოებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში, მის: ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5, 2016 წლის 31 ოქტომბრიდან 2016 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით.
7. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2016 წლის 1 დეკემბერს.
8. საბუთები უნდა იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: info@iliauni.edu.ge
9.იმ კანდიდატთა საკონკურსო განაცხადები, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ ამ ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში ინახება საკონკურსო შედეგების გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში.
10.ამ ბრძანების მე-9 პუნქტში მითითებულმა პირებმა, საკონკურსო განაცხადის დაბრუნების მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს განცხადებით უნდა მიმართონ კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.
11.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

12.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.

გიგა ზედანია

რექტორი